

# OUCH!

## ამ გამოცემაში...

- პაროლები
- რა არის ავთენტურობის ორდონიანი დამოწმება
- როგორ მუშაობს ავთენტურობის ორდონიანი დამოწმება

## კამპანია - Lock Down Your Login

### მიმოხილვა

ავთენტურობის დამოწმების პროცესი, ანუ დადასტურება იმისა თუ ვინ ხართ თქვენ, არის საკვანძო თქვენი ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით (მაგ. ელფოსტის, სოციალური ქსელების ან ინტერნეტ ბანკის ანგარიშები). საკუთარი იდენტობის დასამტკიცებლად არსებობს სამი განსხვავებული მეთოდი; ის რაც იცით - მაგალითად პაროლი, ის რაც გაქვთ - მაგალითად მართვის მოწმობა, და ის რაც თქვენი ნაწილია - მაგალითად თქვენი თითის ანაბეჭდი. თითოეულ ამ მეთოდს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ავთენტურობის დამოწმების ყველაზე გავრცელებული მეთოდია პაროლი - ის რაც თქვენ იცით. სამწუხაროდ მხოლოდ პაროლის გამოყენება სულ უფრო და უფრო საფრთხის შემცველი ხდება. ამ გამოცემაში ჩვენ გასწავლით თუ როგორ დაიცვათ თავი პაროლებზე გაცილებით უკეთესი საშუალებით - ავთენტურობის ორდონიანი დამოწმებით.

### მოწვეული რედაქტორი

ტიფანი შონიკე არის ეროვნული კიბერუსაფრთხოების ალიანსის კამპანიებისა და ინიციატივების დირექტორი (@staysafeonline). 2016 წელს, ქალბატონი შონიკე თეთრ სახლთან, მთავრობასთან და კერძო სექტორთან ერთად მუშაობდა Lock Down Your Login, STOP. THINK. CONNECT.™-ის ავთენტურობის ორდონიანი დამოწმების კამპანიის შემუშავებასა და გაშვებაზე.

### მხოლოდ პაროლები საკმარისი აღარ არის

პაროლები ადასტურებენ თქვენ ვინაობას იმაზე დაყრდნობით თუ რა იცით თქვენ. მაგრამ თუ ვინმე გამოიცნობს ან ხელი მიუწვდება თქვენ პაროლზე, იგი შეძლებს წვდომა მოიპოვოს თქვენ ინფორმაციაზე. ბოლო დროს ანგარიშების დაჰაკვის ერთერთი ძირითადი მიზეზი სწორედ გატეხილი/გამოცნობილი პაროლებია. ზუსტად ამის გამო მოგეთხოვებათ გამოიყენოთ ისეთი საიდუმლო ფრაზები, რომლებიც რთული გამოსაცნობია სხვებისთვის, განსხვავებული პაროლი ყველა ანგარიშისათვის და რომ არასდროს გაუზიაროთ თქვენი პაროლი სხვა ადამიანს. მართალია ეს რჩევები კვლავ ვალიდურია, თუმცა მხოლოდ პაროლის გამოყენება ისეთი ეფექტური აღარ არის. საბედნიეროდ, არსებობს კონტროლის დაბრუნების და საკუთარი ინფორმაციის უკეთ დაცვის მარტივი და სწრაფი გზა და მას ეწოდება ავთენტურობის ორდონიანი დამოწმება.

**კამპანია - Lock Down Your Login**


### რა არის ავთენტურობის ორდონიანი დამოწმება

ავთენტურობის ორდონიანი დამოწმება (ინგლ. two-step verification, multi-factor authentication, 2FA) უფრო ძლიერი დაცვის მექანიზმია, ვიდრე უბრალოდ პაროლი. ამ შემთხვევაში თქვენი იდენტობის დასადასტურებლად გამოიყენება ორი მეთოდი. კარგი მაგალითია ბანკომატში ბარათის გამოყენება. როდესაც ბანკომატიდან ბარათის გამოყენებით გამოგაქვთ თანხა, თქვენ იყენებთ ავთენტურობის ორდონიან დამოწმებას: გჭირდებათ თქვენი ბარათი (ის რაც გაქვთ) და თქვენი პინ კოდი (ის რაც იცით). თუ თვენ დაკარგეთ ან მოგპარეს ბარათი სხვა მას ვერ გამოიყენებს ბანკომატიდან თანხის გამოსატანად, რადგან საჭიროა ბარათის ფლობასთან ერთად პინ კოდის ცოდნაც. ავთენტურობის ორდონიანი დამოწმებაც ამ პრინციპზეა დაფუძნებული.

### როგორ მუშაობს

ავთენტურობის ორდონიანი დამოწმება ფართოდ გამოიყენება საბანკო, ელ.ფოსტის, სოციალური ქსელების და სხვა ვებ საიტებზე. ეს საიტები გთავაზობთ მარტივ ინსტრუქციას აღნიშნული დამოწმების მეთოდის ჩასართავად (მეტი ინფორმაციის მისაღებად გაცნაით ამ გამოცემის ბოლოს მითითებულ რესურსებს). მას შემდეგ რაც ჩართავთ ავთენტურობის ორდონიან დამოწმებას, მეთოდი იმუშავებს შემდეგი სქემით: პირველ საფეხურზე გავივლით საიტზე ავტორიზაციას უწინდებურად, სახელის და პაროლის გამოყენებით. ეს აღნიშნავს პირველ დონეს ანუ “ის რაც იცით”. მეორე საფეხურზე თქვენ მიიღებთ უნიკალურ კოდს სმს შეტყობინების სახით თქვენს მობილურზე. ეს აღნიშნავს მეორე დონეს ანუ “ის რაც გაქვთ”. თქვენ უნდა გქონდეთ თქვენი ტელეფონი იმისათვის რომ მიიღოთ ეს უნიკალური კოდი. ამ პროცესის გავლის შემდეგ თქვენი ანგარიში ნამდვილად დაცულია. იმ შემთხვევაშიც კი თუ კიბერ კრიმინალები მოიპარავენ თქვენს პაროლებს, ვერ შეძლებენ თქვენს ანგარიშზე შეღწევას, რადგან მათ არ ექნებათ თქვენი ტელეფონი.

არსებობს უნიკალური კოდების მიღების ალტერნატიული გზა. ნაცვლად სმს შეტყობინების მიღებისა, შეგიძლიათ სმარტფონზე დააყენოთ სპეციალური ავთენტურობის აპლიკაცია. ეს მობილური აპლიკაცია აგენერირებს უნიკალურ



გამოიყენეთ ავთენტურობის ორდონიანი დამოწმება ყველგან სადაც შესაძლებელია. ეს ერთერთი საუკეთესო მეთოდია, თქვენი ონლაინ დაცვისთვის.

## კამპანია - Lock Down Your Login

კოდებს თქვენი მოთხოვნის შესაბამისად. მობილური აპლიკაციის გამოყენების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ აღარ ხართ დამოკიდებული სმს შეტყობინებებზე და კოდს აგენერირებთ თქვენივე ტელეფონში. ასევე უფრო მოხერხებულია, რადგან თქვენ არ გჭირდებათ მობილურ ქსელთან კავშირი, კოდის მისაღებად. ეს აპლიკაცია მუდმივად აგენერირებს უნიკალურ კოდებს და შესაბამისად თქვენ შეძლებთ ნებისმიერ დროს შეხვიდეთ თქვენს ანგარიშში.

თავდაპირველად შეიძლება მოგეჩვენოთ რომ ავთენტურობის ორდონიანი დამოწმების ჩართვას გარკვეული ძალისხმევა სჭირდება და საჭიროა ტექნიკური მანიპულაციები. თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ ამის შემდეგ თქვენი ანგარიში გაცილებით უსაფრთხო და დაცული იქნება. ნუ დაუცდით როდის გატეხავენ ჰაკერები თქვენს ონლაინ ანგარიშებს. გამოიყენეთ ავთენტურობის ორდონიანი დამოწმების მეთოდი ახლაც და დაიცავით თქვენი საბანკო, ელ.ფოსტის, სოციალური ქსელის და სხვა საიტების ანგარიშები.

## მეტის გაგება / დამატებითი ინფორმაცია

გამოიწერეთ ყოველთვიური OUCH! უსაფრთხოების ცნობიერების ამალღების გამოცემა, ისარგებლეთ OUCH! არქივით, და შეიტყვეთ უფრო მეტი SANS-ის უსაფრთხოების ცნობიერების ამალღების გადაწყვეტილებების შესახებ ჩვენს საიტზე [securingthehuman.sans.org/ouch/archives](http://securingthehuman.sans.org/ouch/archives).

### რესურსები

- Passphrases: <https://securingthehuman.sans.org/ouch/2017#april2017>
- Sites Supporting Two-Factor Authentication: <https://twofactorauth.org>
- Stop|Think|Connect: <https://www.lockdownyourlogin.org>
- Google Two-Step Verification: <http://www.google.com/landing/2step/>

OUCH! გამოიცემა SANS Securing The Human-ის მიერ და ვრცელდება [Creative Commons BY-NC-ND 4.0 license](https://creativecommons.org/licenses/by-nc-nd/4.0/). ლიცენზიით. თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად გაავრცელოთ ეს გამოცემა ან გამოიყენოთ თქვენი ცნობიერების ამალღების კამპანიის პროგრამის ფარგლებში იმ პირობით რომ არ შეცვლით მას. თარგმანთან დაკავშირებით და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ დაგვეკონტაქტოთ შემდეგ მისამართზე: [ouch@securingthehuman.org](mailto:ouch@securingthehuman.org).

სარედაქციო საბჭო: Walt Scrivens, Phil Hoffman, Bob Rudis, Cherul Conley  
თარგმანი: გიორგი გურგენიძე, გიორგი გოგიშვილი



[securingthehuman.sans.org/blog](http://securingthehuman.sans.org/blog)



[/securethehuman](https://www.facebook.com/securethehuman)



[@securethehuman](https://twitter.com/securethehuman)



[securingthehuman.sans.org/gplus](https://plus.google.com/securethehuman.sans.org)